



თბილისი, ბერბუკის ქ. 10/35 Tbilisi, Georgia, Berbuki str. 10/35

შპს ოფიცინა

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მსს ფასს

შინაარსი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

3

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5-15

- 1 ზოგადი ინფორმაცია
 - 2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა
 - 3 განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები
 - 4 ფულადი სახრები
 - 5 სავაჭრო მოთხოვნები
 - 6 გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
 - 7 მარაგები
 - 8 ძირითადი საშუალებები
 - 9 ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან
 - 10 გრძელვადიანი სესხები
 - 11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
 - 12 ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან
 - 13 შემდგომი მოვლენები
-

შპს ოფიცინა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

		31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	86,894	385,030
სავაჭრო მოთხოვნები	5	757,652	518,033
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	6	1,270,837	304,040
მარაგები	7	999,315	825,068
- მზა პროდუქცია		999,134	824,892
- სხვა		181	176
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები		-	36,149
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	2,263,046	2,247,459
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		5,377,744	4,315,779
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	9	112,595	55,753
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		10,966	10,966
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		20,533	15,516
საგადასახადო ვალდებულებები		185,735	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	1,845,416	1,249,626
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები		33,418	53,981
სულ ვალდებულებები		2,208,663	1,385,842
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3,169,081	2,929,937
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		3,169,081	2,929,937
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,377,744	4,315,779

შპს ოფიცინა-ს დირექტორი
მარინა რამიშვილი

აუდიტორი
გიორგი მესხია



შპს ოფიცინა

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2024 წელი

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	2,283,974	2,175,716
საქონლის გაყიდვიდან	2,281,133	2,143,511
მომსახურების გაწევიდან	2,841	32,205
საშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,080,365)	(971,920)
საერთო მოგება	1,203,609	1,203,796
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(455,351)	(410,756)
ცვეთა და ამორტიზაცია	(61,192)	(70,364)
საპროცენტო შემოსავალი:	75	-
საპროცენტო ხარჯი :	(93,681)	(42,176)
ოჯარის ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11 (250,585)	(278,752)
სულ საოპერაციო ხარჯები	(860,734)	(802,048)
საოპერაციო მოგება	342,875	401,748
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები	(70,572)	(56,302)
სხვა არაფინანსური აქტივები	(7,673)	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(6,931)	(10,971)
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(5,831)	(51,146)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	251,868	283,329
მოგების გადასახადი	(4,118)	(11,341)
მოგება/(ზარალი)	247,750	271,988
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რიზორი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	247,750	271,988
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,929,937	2,777,592
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(4,211)	(115,789)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(4,395)	(3,854)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,169,081	2,929,937

შპს ოფიცინა-ს დირექტორი

მარინა რამიშვილი

აუდიტორი

გიორგი მესხია

შპს ოფიცინა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წელი

	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	396,602	735,867
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,198,963)	(1,287,173)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	511,156	928,211
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(291,205)	376,905
სავალუტო კურსის ეფექტი	(6,931)	(10,971)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	385,030	19,096
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	86,894	385,030

შპს ოფიცინა-ს დირექტორი
მარინა რამიშვილი

აუდიტორი
გიორგი მესხია



ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2025 წლის 25 ივლისს:

შპს ოფიცინა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

		31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	86,894	385,030
სავაჭრო მოთხოვნები	5	757,652	518,033
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	6	1,270,837	304,040
მარაგები	7	999,315	825,068
- შპს პროდუქცია		999,134	824,892
- სხვა		181	176
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები		-	36,149
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	2,263,046	2,247,459
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		5,377,744	4,315,779
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	9	112,595	55,753
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		10,966	10,966
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		20,533	15,516
საგადასახადო ვალდებულებები		185,735	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	1,845,416	1,249,626
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები		33,418	53,981
სულ ვალდებულებები		2,208,663	1,385,842
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (მშპ-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საერისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3,169,081	2,929,937
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		3,169,081	2,929,937
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,377,744	4,315,779

შპს ოფიცინა-ს დირექტორი

მარინა რამიშვილი



აუდიტორი

გიორგი მესხია

(Handwritten signature)

შპს ოფიცინა

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2024 წელი

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	2,283,974	2,175,716
საქონლის გაყიდვიდან	2,281,133	2,143,511
მომსახურების გაწვიდან	2,841	32,205
სამშენებლო ხელშეკრულებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,080,365)	(971,920)
საერთო მოგება	1,203,609	1,203,796
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(455,351)	(410,756)
ცვეთა და ამორტიზაცია	(61,192)	(70,364)
საპროცენტო შემოსავალი:	75	-
საპროცენტო ხარჯი:	(93,681)	(42,176)
იჯარის ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(250,585)	(278,752)
სულ საოპერაციო ხარჯები	(860,734)	(802,048)
საოპერაციო მოგება	342,875	401,748
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები	(70,572)	(56,302)
სხვა არაფინანსური აქტივები	(7,673)	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(6,931)	(10,971)
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(5,831)	(51,146)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	251,868	283,329
მოგების გადასახადი	(4,118)	(11,341)
მოგება/(ზარალი)	247,750	271,988
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერსი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	247,750	271,988
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,929,937	2,777,592
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	(4,211)	(115,789)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(4,395)	(3,854)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,169,081	2,929,937

შპს ოფიცინა-ს დირექტორი
მარინა რამიშვილი



აუდიტორი
გიორგი მესხია

(Handwritten signature)

შპს ოფიცინა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წელი

	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	396,602	735,867
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,198,963)	(1,287,173)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	511,156	928,211
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(291,205)	376,905
სავალუტო კურსის ეფექტი	(6,931)	(10,971)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	385,030	19,096
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	86,894	385,030

შპს ოფიცინა-ს დირექტორი
მარინა რამიშვილი



აუდიტორი
გიორგი მესხია

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2025 წლის 25 ივლისს:

შპს ოფიცინა

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მს. ფასს

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ოფიცინა არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნებულია 1999 წელს. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 238748405. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება. კომპანიის ფაქტური საქმიანობა მიმდინარეობს ქ. რუსთავეში, მშვიდობის ქ. #2 ში.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 20-ს.

კომპანიის ერთპიროვნულ დირექტორს 2024 წლის (საანგარიშგებო პერიოდში) განმავლობაში წარმოადგენს მარინა რამიშვილი 37001007965

კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

პარტნიორი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
37001007965, მარინა რამიშვილი	50%	50%
01023000692, როინ რამიშვილი	50%	50%
სულ	100	100

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარდგენის საფუძველები

კომპანია საქართველოში მოქმედი ბუღალტრული და საანგარიშგებო რეგულაციების მიხედვით წარმოადგენს მესამე

კატეგორიის საწარმოს და ამავე რეგულაციებით მას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი მონაცემები წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის უწყისში, სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების უწყისში და ასევე ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისში, რაც შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

2.1.1 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულმა ზომებმა ნაწილობრივ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, თუმცა ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით. არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა საფრთხეს არ უქმნის კომპანიას ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2.2 ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება ფარმაცევტული პროფუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისაგან, ადგილობრივ ბაზარზე შეძენილი და ექსპორტირებული შემოსავლისაგან, მედიკამენტების სარეგისტრაციო მომსახურებისაგან.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებული თანხები. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

კომპანია ამონაგებს აღიარებს საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით შემცირებული საქონლის მიწოდების დანახარჯებით, როგორცაა მაგალითად საქონლის ტრანსპორტირების ტრანსპორტირების დანახარჯები.

2.3 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი დაითვლება მიმდინარე საკანონმდებლო მოთხოვნების მიხედვით.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა.

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85. საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

(ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობა-ნაგებობა	10-20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.6 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

2.7 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება მზა პროდუქციის, მზა პროდუქციის დასამზადებელი ნედლეულისაგან და დაუმთავრებელი წარმოებისაგან.

2.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.10 გადახდილი ან მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.11 ფული

ფული მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.12 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.13 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.14 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოების (მათ შორის ბონუსების) დანახარჯებად აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც თანამშრომლების მომსახურებას გასწევს.

კომპანიას არ აქვს რაიმე გრძელვადიანი გასამრჯელოების პროგრამები დაქირავებულთათვის და არ ახორციელებს წილობრივ გადახდებს.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საექვო ვალების რეზერვის შეფასება

საექვო ვალების რეზერვის შეფასება ხორციელდება თითოეული კლიენტის მიხედვით, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით რაც მენეჯმენტს გააჩნია ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. კომპანიის მენეჯმენტი და ხელმძღვანელი რეგულარულად ახორციელებს მოთხოვნების ხანდაზმულობის და თითოეული კლიენტის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს. კომპანიის რეზერვები სამართლიანად ასახავს მოთხოვნების შესაძლო გაუფასურებას, თუმცა რეალური შედეგები მომავალში შესაძლოა განსხვავებული იყოს მენეჯმენტის მოლოდინებისაგან.

შემოსავლების აღიარება

როგორც სააღრიცხვო პოლიტიკაშია აღწერილი კომპანია მსს ფასს-ის შესაბამისად ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულებისა და შესრულების სტადიის მიხედვით.

შპს ოფიცინა

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მსს ფასს

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4 ფულადი სახრები

შენიშვნა 31 დეკემბერი 2024

31 დეკემბერი 2023

	4	
ლარები საღაროში	31,502	-
ლარები საბანკო ანგარიშებზე	51,028	2,523
დოლარები საბანკო ანგარიშებზე	1,065	84,089
ევრო საბანკო ანგარიშებზე	3,297	298,417
სხვა ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	2	1
ფული და ფულის ექვივალენტები სულ	86,894	385,030

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შენიშვნა 31 დეკემბერი 2024

31 დეკემბერი 2023

	5	
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი საწარმოებიდან	109,804	161,499
გაუფასურებელი სავაჭრო მოთხოვნის ზარალი	-	-
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტ საწარმოებიდან	647,848	356,534
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	757,652	518,033

6 გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

შენიშვნა 31 დეკემბერი 2024

31 დეკემბერი 2023

	6	
რეზიდენტ საწარმოებზე გადახდილი ავანსი	1,115,796	82,508
არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდ. ავანსი	155,041	221,532
	-	-
სულ გადახდილი ავანსები	1,270,837	304,040

7 მარაგები

შენიშვნა 31 დეკემბერი 2024 31 დეკემბერი 2023

	7	
საქონელი	-	-
ნედლეული და მასალები	767,627	844,598
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	231,507	36,596
სხვა მარაგები (საწვავი)	181	176
გაუფასურებული სმფ-ები	-	(56,302)
სულ მარაგები	999,315	825,068

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება: სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონლისაგან, მზა პროდუქციის დასამზადებელი ნედლეულისაგან და ასევე საწარმოო პროცესში მყოფი მზა პროდუქციისაგან.

8 პირითადი საშუალებები

	შენიშვნები	დაუმთავრე ბელი მშენებლობ ა	მანქანა- დანადგარებ ი	ავიაცი და სხვა ინვენტარი	სატრანსპო რტო საშუალებებ ი	სულ
თვითღირებულება						
31 დეკემბერი 2023	387,715	670,778.00	1,209,597	211,590	198,512	2,678,192
შეძენები	-	77,433	-	1,203.00	-	78,636.00
გაყიდვა/ჩამოწერა	-	-	-	(1,857)	-	-
31 დეკემბერი 2024	387,715	748,211	1,209,597	210,936	198,512	2,754,971
აკუმულირებული ცვეთა						
31 დეკემბერი 2023	113,052	0	185,441	67682	64,558	430,733
პერიოდის ხარჯი	15,552	0	19,659	9,708	16,273	61,192
ელიმინაცია გასავალზე	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	128,604	0	205,100	77,390	80,831	491,925
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	274,663	670,778	1,024,156	143,908	133,954	2,247,459
31 დეკემბერი 2024	259,111	748,211	1,004,497	133,546	117,681	2,263,046

ვალდებულებები, წარმოქმნილი
9 მიწოდებიდან და მომსახურებიდან შენიშვნა 31 დეკემბერი 2024 31 დეკემბერი 2023

9		
რეზიდენტი მომწოდებლები	34,298	55,753
არარეზიდენტი მომწოდებლები	78,297	-
სულ მიწოდ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულება	112,595	55,753

10 გრძელვადიანი სესხები შენიშვნა 31 დეკემბერი 2024 31 დეკემბერი 2023

10		
ევროში დენომინირებული სესხი ბანკისგან	1,845,416	1,249,626
სულ გრძელვადიანი სესხები	1,845,416	1,249,626

კომპანიას მიღებული აქვს 2 გრძელვადიანი სესხი ევროში, 2023 წელს, თიბისი ბანკისგან 6.2 %-ად. სესხის მომსახურების ვადა განისაზღვრება 7 და 10 წლით. ასევე 2024 წელს მიღებული აქვს 7 წლიანი მე-3 სესხი ევროში თიბისი ბანკისგან 6.5 %-ად.

11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შენიშვნა 31 დეკემბერი 2024 31 დეკემბერი 2023

11		
საგადასახადო ხარჯები	22,922	18,423
სარეგისტრაციო ხარჯები	665	14,673
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	53,287	51,766
შეძენილი მომსახურებების ხარჯი	83,031	98,956
მიმდინარე სარემონტო ხარჯები	5,475	7,864
კომუნალური ხარჯი	14,597	15,745
დაზღვევის ხარჯი	7,551	8,614
საწვავის ხარჯი	9,936	9,039
სამივლინებო ხარჯი	30,652	25,223
ბანკის საკომისიო ხაჯი	5,148	9,543
სხვა სამეურნეო ხარჯები	17,321	18,906
-	-	-
სულ გრძელვადიანი სესხები	250,585	278,752

12 ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი მფლობელი და მენეჯმენტი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მმართველი გუნდისთვის ხელფასის სახით გადახდილმა ანაზღაურებამ შეადგინა 93 951 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის სახით გაცემულია 24 334 ლარი.

2024 წელს სულ გამოცხადებული დივიდენდი შეადგენდა 4211 ლარს, შესაბამისად ნაწილობრივ დივიდენდი გაცემულია 2023 წელს გამოცხადებული დივიდენდიდან და ნარჩენი სახით დარჩენილი გასაცემი დივიდენდიდან. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს პარტნიორებზე გასაცემი დივიდენდი შეადგენს 31 833 ლარს.

13 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს რაც დამატებით შესწორებებს ან ინფორმაციის გახსნას მოითხოვდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.